რას მოიმოქმედებს მაშინ სახელმწიფო? ნუთუ ისევ გაყუჩდება და ცილისწამებულებს პასუხს არ მოსთხოვს? თუ ჩვეულებისამებრ „მთავარი მოკარნახის“ „რჩევას“ დაელოდება? ასეც რომ მოხდეს, ვის გაუკვირდება? განა უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის ილია მეორისთვის პეტრე ცაავას ვინმემ პასუხი მოსთხოვა? ვინ გამოვიდა ქუჩაში პროტესტის ნიშნად, პატრიარქს ეს როგორ აკადრებს? აი ლგბტ თემის წარმომადგენელი რომ ვინმეს

აუგად ეხსენებინა, მაშინ ეს სოკოებივით მომრავლებული არასამთავრობოები და „ადამიანის უფლებების დამცველები“ ერთ ამბავს ატყებდნენ: არიქა, ადამიანის უფლებები ირღვევაო.

მხოლოდ მღვდელმთავრებმა იმსჯელეს მიტროპოლიტ პეტრეს (ცაავა) მიერ, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისა და წმინდა სინოდის მიმართ საჯაროდ არაერთგზის გაკეთებული შეურაცხყოფელი განცხადებების, დაუსაბუთებელი ბრალდებების, ხშირ შემთხვევაში ცილისწამებებისა და სხვა კანონიკური დარღვევების თაობაზე და ისიც აღნიშნეს, რომ **ეკლესიის ისტორიაში ვერ ვხვდებით პატრიარქის მხარეს მამხილებელ დოკუმენტებს**. უწმინდესმა კი ბრძანა, რომ მეუფე პეტრე იყო გამოჩენილი მღვდელმთავარი და მეტად სამწუხაროა მისი ამგვარი ცვლილება.

„წმინდა სინოდმა განაჩინა: მიტროპოლიტ პეტრეს, მოციქულთა 55-ე კანონის საფუძველზე (სადაც ნათქვამია, რომ მკაცრად ისჯება სასულიერო დასის ნევრი (კლერიკოსი), რომელიც შეურაცხყოფს საკუთარ ეპისკოპოსს) აეკრძალოს მღვდელმთავრების, განთავისუფლებების ეპარქიის მმართველობისა და წმინდა სინოდის ნევრობისაგან და გამწესებულ იქნას მონასტერში მონაწილეობა“, — აღნიშნულია სინოდის სხდომის ოქმში.

მაგრამ პეტრემ არ ცნო თავი დამნაშავედ და არ დაეთანხმა სინოდის მოწოდებებს მონაწილეობის თაობაზე. მაგრამ მის მიმართაც რომ გაისმა ბრალდებები, მას მყისიერი რეაქცია ჰქონდა:

„დაუყოვნებლივ მოვიტოვე საპატრიარქო ალდრას საქმე, დაიწყოს მოკვლევა. მეუფე სტეფანეს მოუწევს, თვითონვე დაისაჯოს იმ ცრუ ბრალდებით, რა ბრალდებითაც მე დამანაშაულა. მზად ვარ, დემის ანალიზი ჩავაბარო, იგივესკენ მოვუწოდებ ყველა მღვდელმთავარს. სტეფანე არის შეპყრობილი, რომელსაც ღმერთი არ სწამს და სირცხვილის გრძნობა არ გააჩნია“, — განაცხადა მეუფე პეტრემ „რუსთავი 2“-თან.

მაგრამ იმის მთქმელს, რომ „ათწლეულებია, უწმინდური ადამიანი მართავს ეკლესიას“, ღმერთი სწამს და სირცხვილის გრძნობა გააჩნია? ასეთ ადამიანს მორალური უფლება აქვს, რაიმე მოითხოვოს საპატრიარქოსგან?

ჭყონდიდის ეპარქიის სამღვდელთა ნაწილი აცხადებს, რომ მეუფე პეტრეს, რომელმაც 2019 წლის სინოდის სხდომის დასრულების შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეს „პიდარასტიკისა და მამათმავლობის ცოდვით შეპყრობილი“ უწოდა, მღვდელმთქმედება უკანონოდ შეუჩერეს და მის საკითხზე შიდასაკლესიო, კანონიკურ მოკვლევას ითხოვენ. ნორმალური ადამიანი, მით უმეტეს სასულიერო პირი, ასეთ შემთხვევაში ჯერ

როსა პროვოკაცია იკიდებს ფეხს და აბამს თავის აბლაბუდას



პეტრე ცაავა: „ათწლეულებია, უწმინდური ადამიანი მართავს ეკლესიას“



დაპირისპირება ჭყონდიდის ეპარქიაში. დეკანოზი ათინოგენი

პეტრე ცაავასგან უნდა ითხოვდეს იმ უმძიმესი ბრალდების დამტკიცებას და მეგრე უნდა ალაპარაკდეს ამ უკანასკნელის დაცვასა თუ დასჯაზე.

რა ჰქნას ამის შემყურე ხალხმა, რომელსაც პოლიტიკოსებმა არაერთხელ გაუცრუსეს იმედი, ხოლო ერთადერთი წმინდა ნაესაყუდელად და იმედად ეკლესია დარჩა? რა ჰქნას ერმა, როდესაც ქვეყნის მოქალაქე პროვოკატორებმა ამ წმინდა საგანგებო შეაღწეს და აბამენ ბინძურ პროვოკაციულ აბლაბუდას, უკადრებელს კადრულბენ, ჯერ არგაგონილს?

მათ მივმართავ დიდი ვაჟაფშაველას სიტყვებით: „გაიხადეთ ან ანაფორები და სთქვით სამოქალაქო აზრები როგორც მოქალაქეთა, ან არა და გეცვასთ ანაფორა და სთქვით შეუბლაღავად, განურყვნელად ის, რაც გიანდერძათ თქვენმა მამათმთავარმა იესო ნაზარეტელმა“.

ეს არის ამონარიდი ვაჟაფშაველას 1906 წელს გამოქვეყნებული წერილიდან „მღვდლების ვინაობა“, რომელსაც მკითხველს აქვე ვთავაზობთ

ანალიზისთვის, დღევანდელობასთან პარალელის გასაღებად და იმის ნათესაყოფად, რომ დედაეკლესიის მიმართ ამჟამად არსებული დამოკიდებულება და მისი წიაღში მიმდინარე უარყოფითი მოვლენები კარგს არაფერს გვიქადის.

ვლგლები მინაობა

გაიძროთ ანაფორები, შეიკრიჭით თმები და გამოეწყოთ „წინჯაკებში“, „შტაცკურად“, მაშინ სულ სხვა მნიშვნელობას მიეცემათ თქვენს რევოლუციონერობას. დღეს კი, თუმცა ყველაფერს კარგს, უკეთესს, სასარგებლოს ბრძანებთ, მაგრამ ბოლოს ჩვენთვის სასარგებლო იქნება. თქვენს ნოდებას პროგრესული აზრების ქადაგებით მკვიდრად ბოძებებს უდგამთ და მომავალ ცხოვრებას ეგ არ შეპყვრის, არც შეპყვრის; ახალმა ცხოვრებამ სრულიად სხვა გზა და დანიშნულება უნდა მისცეს თქვენს ნოდებას, მშობლიური მამობრივი მზრუნველობა უნდა ჩამოგყაროს, თქვენ აღზდის საქმეში, სკოლებში ადგილი აღარ გექნებათ, რათა უკულმა არ მომართოთ თქვენი ყოველდღეული შინა. მომავალი ცხოვრება თქვენ პროგრესული ელემენტად ვერ ჩათვლისთ, ვიდრე სამღვთო წერილის მცნებათა თავისებურად გამოყენებაზე ხელს არ აიღებთ და არ მოიხლით მეჭურჭლის ხელმძღვანელს, რომელიც ქო-

თანს საითაც ჰნებავს, ყურს იქ მოაზარს. ვსტყუი? მამ რატომ აქამდის, ვიდრე ბიუროკრატის ბაგაზე იყავით დაბმულები და იმის დალაბანდზე სთამაშობდით, არა ჰქადაგებდით მაგას, რასაც დღეს ამბობთ? თუ დროთა ვითარებას დაბარალებთ, ცენზურას და სხვა?

მღვდლები-სოციალისტები! ჩემში თქვენის მოღვაწეობის ნეკლობით აღძრული გრძნობა ეს არის, იქნება თქვენც გეწყინოსთ, თქვენს ნოდების გარეშე ბევრს სხვასაც, პი პირადად მწყინს, როცა ჰმვდლობთ, ანაფორები გაცვივით და ჰრეველუციონერობთ. გაიხადეთ ან ანაფორები და სთქვით სამოქალაქო აზრები როგორც მოქალაქეთა, ან არა და გეცვასთ ანაფორა და სთქვით შეუბლაღავად, განურყვნელად ის, რაც გიანდერძათ თქვენმა მამათმთავარმა იესო ნაზარეტელმა. არც არაფერი იმით დაშავდება. თქვენი გავლენა ხალხზე, გუბუნებით გამოცხადებით, ამკარად, საბოლოოდ მავნებელი გამოდგება, არ არი მოსაწონი თქვენი გავლენა, ვინაიდან იგი სასარგებლო ნაყოფს არ გამოიღებს და მხოლოდ მონებს ალურდის ქვეყანას და არა ნამდვილს მამულიწვილებს და მოქალაქეებს. საწყინო იყო, თუმცა ბევრს სოციალისტ-რევოლუციონერს არ სწყინდა, არადა ეხსენებოდა კიდევაც, მამა გაპონი რომ მუშებს გაუძღვანა, შარშან იანვარს სასახლისაკენ. ამით გაპონმა რუსეთის სოციალისტებს რამდენიმე ჩანახი ლაფი დაასხა თავზე, თუმცა უკანასკნელებმა ვერც კი იგრძნეს. კიდევ კარგი, რომ გაპონიც ყალბი სოციალისტი გამოდგა.

დღეს კი თქვენი მოღვაწეობა ნაყოფიერია და უფრო ნაყოფიერი იქნება თუ იქადაგებთ მაგ მონინავე აზრებს, როგორც მოქალაქეი და არა როგორც მღვდლები.

იქნება სთქვათ: მღვდლობა, ანაფორები რას გვიშლისო. მაგრამ ხომ ყოველი „პრისტივი“ ამბობს და გვევცობა, როცა ეტყვი, გაიხადე მუნდირი, გამოდი სამსახურიდან და ხალხს შეუერთდიო. დიად, ფიცითა სქდება: ნამდვილი ქვეყნის ერთგული ვარ, მუნდირში ხალხს უფრო ბევრ რამივე გამოვადგებიო. საქმით კი გამოიღებს, რომ ამჯერა ხალხს ენების მეტი ქვეყნისთვის არაფერი მოაქვს, რადგან, ვის პურსაცა სჭამენ, იმის ხმალს იქვენც. ძალინ საცა სალაფავსა სჭამს, იქა პყვეს. ურისი პური ჭამე და ურისი ხმალი მოიქნეო, ხომ მოგესხენებათ?..

...მთაში პროვოკაცია იკიდებს ფეხს და ბიუროკრატია აბამს თავის აბლაბუდას, ამ შემთხვევაში მაინც თვალს აუხელენ ხალხს და გააფრთხილებენ. თქვენვე ბრძანებთ, რომელ პარტიას უნდა ეკუთვნოდენ ეს მღვდლები. ვგონებ, ჩემთან ერთად თქვენც იტყვით, რომ სულიერი მამები არიან „მიიღე ჯამაგირის“ პარტიისა.

რა ჰქნას ამის შემყურე ხალხმა, რომელსაც პოლიტიკოსებმა არაერთხელ გაუცრუსეს იმედი, ხოლო ერთადერთი წმინდა ნაესაყუდელად და იმედად ეკლესია დარჩა? რა ჰქნას ერმა, როდესაც ქვეყნის მოქალაქე პროვოკატორებმა ამ წმინდა საგანგებო შეაღწეს და აბამენ ბინძურ პროვოკაციულ აბლაბუდას. მათ მივმართავ დიდი ვაჟაფშაველას სიტყვებით: „გაიხადეთ ან ანაფორები და სთქვით სამოქალაქო აზრები როგორც მოქალაქეთა, ან არა და გეცვასთ ანაფორა და სთქვით შეუბლაღავად, განურყვნელად ის, რაც გიანდერძათ თქვენმა მამათმთავარმა იესო ნაზარეტელმა“



ღირს მამათა, იოანეს და იოანე თორნიკ-ყოფილის, ლოცვითა და ღვაწლით ათონზე მომრავლებული ქართველნი იოანე ნათლისმცემლის ეკლესიამ და კმათა სენაკებამ ვერ დაიბნა და წმიდა მამებმა ახალი ეკლესია-მონასტრების აშენება იღვეს თავს. სულ მალე ქართველებმა მთაწმინდაზე კიდევ ორი ეკლესია ააგეს — ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 23 ივნისს მცხეთის ჯვრის დღესასწაულს აღნიშნავს. ეს დღე სათავეს მეფე მირიანის მეფობის დროიდან იღებს და საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთ უძველეს დღესასწაულად მიიჩნევა.

მცხეთის ჯვრის დღესასწაული თავისი მადლმოსილებით უტოლდება იერუსალიმში აღსრულებული ჯვრის გამოჩინების უდიდეს დღესასწაულს. სულთმოფენობიდან პირველ ოთხშაბათ დღეს აღსრულდა ჯვრის გამოჩინება ამჯერად მცხეთაში, ჯვრის თავზე, და რადგანაც ეს გამოცხადება ყველა გამოცხადებაზე ზეალმატებულია, ოთხშაბათს მოხდა, სწორედ კვირის ეს დღე დაამკვიდრა საქართველოს ეკლესიამ ჯვრის გამოჩინების დღესასწაულად. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-

მცხეთის ჯვრის დღესასწაული



პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მცხეთის ჯვრის გამოჩინების მივინწყებული დღესასწაული



2007 წელს აღადგინა.

რაც შეეხება მცხეთის ჯვრის ეკლესიას, ის ქართლის ერისთავმა გუარამ დიდმა მცხეთის ახლოს მთაზე ააგო. ტაძრის აღიშნა იღვა ხის ჯვარი,

რომელიც წმინდა ნინო იქამდე ორი საუკუნით აღარ აღმართა. გუარამის მიერ აგებული მცირე ეკლესია უფრო და უფრო მეტ მოლოცვებს იზიდავდა, ამიტომ გუარამის ძემ, სტეფანოზ ერისთ-

ავმა გადაწყვიტა, მის გვერდით დიდი, ახალი არქიტექტურული სტილის ტაძარი აეგო, რომელიც ფეოდალური ხანის მოთხოვნებს უფრო შეეფერებოდა. ასე ჩაეყარა საფუძველი მცხეთის ჯვრის

ღიღი ეკლესიას. ტაძრის ხუროთმოძღვრის სახელი უცნობია და არც მისი აგების თარიღია მითითებული სადმე, მაგრამ, რელიეფის წარწერაში მოხსენიებულ პირთა მიხედვით, აგრეთვე, სხვა წერილობითი საბუთების შეჯერებით დგინდება, რომ ირისმთავარ სტეფანოზს ტაძარი 585-604 წლებში ააგო.

ჯვარი ტეტრაქონის ოთხაფსიდიანი გუმბათოვანი ნაგებობაა. იგი პირველი ქართული ეკლესიაა, რომლის ფასადთა გაფორმებაც რელიეფურ ქანდაკებებს არსებითი ადგილი უკავია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ჯვრის მონასტერში ღვთისმსახურება 1989 წლის იანვრიდან აღდგა.

გულოცავთ სრულიად საქართველოს მცხეთის ჯვრის ბრწყინვალე დღესასწაულს!

წმიდა იოანე (თორნიკე) მთაწმინდელი

წმიდა იოანედ იწოდებოდა თორნიკე ერისთავი, რომელიც გახლდათ ტაოელი დიდებული, ჩორდვანელის ძე. ის საქართველოს ისტორიაში ცნობილია, აგრეთვე, როგორც დავით კურაპალატის სახელგანთქმული სარდალი, რომლის დახმარებითაც X საუკუნის 70-იან წლებში (976-979 წწ.) ჩაახშეს საიმპერატორო ტახტის წინააღმდეგ ამბოხებული ძღვეამოსილი ბიზანტიელი სარდლის, ბარდა სკლიაროსის, აჯანყება. საქართველოს ეკლესიამ წმ. იოანეს ხსენების დღედ 12 ივნისი (ძვ. სტილით) დაანწესა.

წმიდა თორნიკე იყო ქართლის სპასალარი. სახელოვანი და ბრძოლებში წარმატებული, ქველი და უებრო რაინდი გამორჩეულად უყვარდა მეფე დავით კურაპალატს, მაგრამ ღვთისთვის სათნოყოფელმა უმჯობესი გამოიჩინა — მონაზვნობის ღვაწლი იღო თავს და ულუმბოს მთას მიმართა წმიდა იოანეს მოსაძებნად. ულუმბოზე მას აუწყეს, რომ ღირსი მამა ათონის მთაზე დამკვიდრებულიყო. თორნიკე მთაწმინდას მიაშურა და „კურთხევაა მონაზონებისაჲ წელთაგან იოვანესთა მიიღო“.

ღირსი მამა ათონის მთაზე დამკვიდრებულიყო. თორნიკე მთაწმინდას მიაშურა და „კურთხევაა მონაზონებისაჲ წელთაგან იოვანესთა მიიღო“.

ღირსი მამა ათონის მთაზე დამკვიდრებულიყო. თორნიკე მთაწმინდას მიაშურა და „კურთხევაა მონაზონებისაჲ წელთაგან იოვანესთა მიიღო“.

ღირსი მამა ათონის მთაზე დამკვიდრებულიყო. თორნიკე მთაწმინდას მიაშურა და „კურთხევაა მონაზონებისაჲ წელთაგან იოვანესთა მიიღო“.

ღირსი მამა ათონის მთაზე დამკვიდრებულიყო. თორნიკე მთაწმინდას მიაშურა და „კურთხევაა მონაზონებისაჲ წელთაგან იოვანესთა მიიღო“.

ღირსი მამა ათონის მთაზე დამკვიდრებულიყო. თორნიკე მთაწმინდას მიაშურა და „კურთხევაა მონაზონებისაჲ წელთაგან იოვანესთა მიიღო“.

ღირსი მამა ათონის მთაზე დამკვიდრებულიყო. თორნიკე მთაწმინდას მიაშურა და „კურთხევაა მონაზონებისაჲ წელთაგან იოვანესთა მიიღო“.



ათონის ივერთა მონასტარი

და ოცნებაც ლაჟვარდფერად წარმოგვიდგენს ქართლისა ერს.

ნარსულ-ნერგზედ ახალ-ნამყნის ველოდებით შეხორცებას! მით ვიქარვებთ ანწყო

ნალევს და ვეძღვეთ ალტაცებას. დღესაც საქართველოს მხოლოდ „ნარსულ-ნერგზედ ახალ-ნამყნის შეხორცება“ თუ გადაარჩენს, რომელსაც იმედინად ელოდება მთელი ერი. გამარჯვების შემდეგ თორნიკე შეგებით მიაშურა ათონის მთას, „ხოლო მამანი სიხარულით მიეგებნეს და ამბორი უყვეს და შმადლობდეს ღმერთსა, რომელმან კვლად მოაქცია მშვიდობით“.

სამხედრო ნადვლიდან მიღებული წილი იოანე-თორნიკემ ათანასეს ლავრასა და ბერძენთა სხვა მონასტრებს შესწირა, უდიდესი ნაწილი კი ათონის ივერთა მონასტრის აგებას მოახმარა. 980 წელს ბიზანტიის კეისარმა იოანე-თორნიკეს სეინგელოზის (პატრიარქის თანაშემწე ბერი) ნოდება უბოძა.

ღირს მამათა, იოანეს და იოანე თორნიკ-ყოფილის, ლოცვითა და ღვაწლით ათონზე მომრავლებული ქართველნი იოანე ნათლისმცემლის ეკლესიამ და კმათა სენაკებამ ვერ დაიბნა და წმიდა მამებმა ახალი ეკლესია-მონასტრების აშენება იღვეს თავს. სულ მალე ქართველებმა მთაწმინდაზე კიდევ ორი ეკლესია ააგეს — ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის.

თორნიკ-ყოფილი საოცარი მორჩილებით გამოირჩეოდა. სიმდაბლით, სინაგოგებითა და უმანკოებით გამოჩეული მოღვაწე ბერი მამა იოანეს ეუბნებოდა: „მამაო, თვით იცი, რომელ დიდად ცოდვილი ვარ

და სიკუდილი ჩემი მოახლებულ არს და უნებელი სინამდისა თქუენისა არა ვარ, არამედ ნება ჩემი და თავი ჩემი შემდგომად ღმრთისა შენდა მომიცემია; ვითარცა გენებავს, აცხოვნე სული ჩემი“. რადგან თორნიკ-ყოფილი მრავალ ომში გამარჯვებული სპასალარი იყო, გარდასულ ამბავთა მოგონება უყვარდა. მონასტრის ძმებიც ხშირად აამბობინებდნენ მას „საქმეთა საგმირთა“. წმიდა იოანემ ურჩია: „ან დაცადე სოფლითა მავათ საქმეთა უბნობა და ამიერთგან სხუასა ნუ ვის ეუბნები, გარნა გაბრეღს ხოლო ხუცესსა“. გაბრეღ ხუცესის პირიდან არანაირი ამსოფლიური სიტყვა არ ამოდიოდა, თვინიერ საღმრთოთა და სულიერთა. წმიდა იოანე თორნიკ-ყოფილი ცრემლის ღვრით ჩაუვარდა ფერხით მოძღვარს და შეჰლადა: „რად დაიღუპე აქამომდე და არა მამხილე, წმიდაო და ღმერთშემოსილო მამაო?“ მამა იოანემ წამოაყენა მოხუცებული და უთხრა: „უფალმან შეგინდევინა, გარნა ან ხოლო ეკრძაღენი!“ არავის გაუფორნია ამის შემდეგ იოანე-თორნიკეს საუბარი, მან მდუმარებითა და ღვთის სასოებით გალია ცხოვრების დარჩენილი დღეები და მშვიდობით მიაბარა სული უფალს.

ღღეს ხატი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა, ივერისად წოდებული, ბრძანდება ათონის ივერთა მონასტერში, რომელიც მთელი ათონის გულად ითვლება, მონასტრის შესასვლელში არის დიდი ხატი ივერონის დამარსებული ქართველი ბერებისა: იოანესი, ექვთიმესი და გიორგისა, რომლებსაც ყოველთვის იხსენიებს მთელი ათონის მთა. იქ ყველას უყვებიან საოცარი ქართველი ბერ გაბრიელის შესახებ, იქვეა ქართველთა საძვალეც, იოანე-თორნიკ-ყოფილის ჯაჭვის პერანგი და უამრავი ქართული ხელნაწერი.



ახლა გუნდებში არის რეკორდულად მაღალი ფასი აქვს ევროპულ ჰაბებში, თანაც ზამთრის წინ აირი 1,5-ჯერ ძვირი ღირს, ვიდრე ზაფხულში. ამიტომ გასაქვირი არ არის, რომ გუნდებში აირზე სარეკორდო ფასისა და ელექტროენერგიაზე მზარდი მოთხოვნის გამო კომპანიამ და სახელმწიფომ სრულიად დაივიწყეს „მწვანე“ ენერჯეტიკა და ფსონი წიაღისეულ სათბობზე დადეს.

ის თანამედროვე ქართული კულისისტიკის ბერძენა-დიდოსტატია



ნახევარ საუკუნეზე მეტია, მის პუბლიცისტურ შედეგებს მე, 92-ე წელში გადაბიჯებული ისტორიკოს-პოლიტოლოგი, დიდი გულისხმიერებით ვეცნობი.

დღეს ეს პუბლიცისტი ყველაზე გამორჩეულ, ყველაზე ორიგინალურ და სიმართლით გაფლანგულ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში მოღვაწეობს სხვა ცნობილ პუბლიცისტებთან ერთად, რომელთა პუბლიკაციები ობიექტურობით, მეცნიერული ანალიზით გამოირჩევა. ბოლო 6 ათეული წლის განმავლობაში საქართველოში ცოტა თუ დარჩა პრესის ორ-

განო, რომელსაც თავის გვერდებზე ამ დიდებული პუბლიცისტის ნაღვანი არ უხილავს. მისი წერილები იმითაც გამოირჩევა, რომ მხატვრული შეფერილობითაა შემკობილი და მკითხველში ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს. ვგრძნობ, მკითხველი მიბრუნდება — გვარ-სახელის დასახელებას ითხოვს; დიხს, ეს პუბლიცისტი ბატონი **არმაზ სანუბლიძე** გახლავთ.

ბატონი არმაზი ერთნაირი სიძლიერით აშუქებს ჩვეულებრივ ყოფით ცხოვრებაზე თუ ავბედით პრობლემებზე წამოჭრილ საკითხებს და ყველაფერს თავის ნამდვილ სახელს არქმევს. ამასთანავე სიძლიერე, სადაც საჭიროა, ბატონი არმაზი, ოსტატურად და შემპარავად, იუმორისა თუ სატირის ხერხებსაც წარმატებით იყენებს. მხატვრულობით შემკობილი მოთხრობები თუ ჩანახატები მას ბევრი სხვა პუბლიცისტისგან განასხვავებს.

„საქართველო და მსოფლიოს“ მე-20 ნომერში ბატონი არმაზის ვრცელი, 2-გვერდიანი წერილი გამოქვეყნდა სათაურით „რეზო გაბრიადის უკანასკნელი ინტერვიუ“, უკანასკნელი იმიტომ, რომ საყოველთაოდ ცნობილი ეს დიდი ხელოვანი ბატონი არმაზისათვის მიცემული ინტერვიუდან 5 თვის შემდეგ გარდაიცვალა.

სულით ხორცამდე დამატყვევა ბატონი არმაზის მიერ დიდი ადამიანური სითბოთი გაფლანგული წერილი, ცრემლიც უხვად მადინა. მწამს, ვინც აქამდე არ გაცნობია ბატონი არმაზის ამ წერილს, ამის შემდეგ აუცილებლად გაეცნობა. ბატონი არმაზი სანუბლიძის შემდგომი გამარჯვებებისა იყოს!

ვიპი გურუიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პოლიტოლოგი ქუთაისიდან



აბა, სად არის «მწვანე» ენერჯეტიკა?

ამერიკული გამოცემა Bloomberg-ი შვეიცარიულ ტრეიდიנגულ კომპანია Axpo Solutions AG-ზე დაყრდნობით მწუხარებით იუწყება, რომ მიმდინარე წელს ევროპაში ქვანახშირის მოხმარებამ გასულ წელთან შედარებით 5 პროცენტით მოიმატა. ამის მიზეზი რამდენიმეა:

ვირეალი — ეკონომიკისა და ნარმოების აღდგენის გამო ელექტროენერჯის მოხმარების მკვეთრი მატება. მსხვილი და საშუალო ბიზნესის მფლობელებმა, რომლებმაც შარშან პანდემიის გამო კოლოსალური ზარალი განიცადეს, დანაკარგების ანაზღაურებას ცდილობენ. ელექტროენერჯის მოხმარების ყველაზე დიდი მატება აღინიშნება 3 ქვეყანაში: გერმანიაში, პოლონეთსა და ნიდერლანდებში.

მეორე, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი, ნათლად აჩვენებს, როგორი მყიფე და მგრძობიარეა თანამედროვე ეკონომიკის სტრუქტურა, როგორ არის ის დამოკიდებული ენერგომატარებლების საიმედო მიწოდებაზე და რა მნიშვნელოვანია მისი განვითარებისთვის ყველა პროცესის სტაბილურობა, მათ შორის ელექტროენერჯის ნარმოება.

ქვანახშირის მოხმარების ნახტომისებური მატება გამოწვეულია იმით, რომ ევროპის მინისტრებმა საცავეებში ინახება შარშანდელ ოდენობაზე 25%-ით ნაკლები ბუნებრივი აირი. ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. თავისი როლი ითამაშა ხანგრძლივმა და ძალიან ცივმა ზამთარმა, ამის გამო კომპანიები იძულებული იყვნენ, საცავეებიდან ნაელთ ბუნებრივი აირის დამატებითი მოცულობები. Gas Intrastructure Europe-ის აზრით, საცავეებიდან გატანილია 66 მლრდ კუბ. მეტრი აირი, საცავეებში კი შეიტანეს მხოლოდ 13,6 მლრდ. „გაზპრომის“ სპეცილისტების აზრით, ევროკავშირს ამჟამად მხოლოდ 33 მლრდ კუბ. მეტრი აირი აქვს.

კიდევ ერთი გარემოება იყო, არის ტრანზიტის შემცირება უკრაინის ტერიტორიის გავლით, შარშან „გაზპრომმა“ რეკორდული მცირე მოცულობის „ცისფერი სათბობი“ გა-

დაქანა ევროპაში უკრაინის გავლით — სულ 5,8 კუბ.მ. „ბლუმბერგის“ ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ რუსეთი ასე სწევს მაღლა „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მნიშვნელობას ევროპული ობივანტელებთან და მრეწველობის თვალში და მოსადავის მოწინააღმდეგე პროამერიკულ პოლიტიკურ დაჯგუფებებს ხელიდან აცლის კოზირებს.

ასეა თუ ისე, ახლა ბუნებრივი აირის რეკორდულად მაღალი ფასი აქვს ევროპულ ჰაბებში, თანაც ზამთრის წინ აირი 1,5-ჯერ ძვირი ღირს, ვიდრე ზაფხულში. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ბუნებრივი აირზე სარეკორდო ფასისა და ელექტროენერჯიანზე მზარდი მოთხოვნის გამო კომპანიამ და სახელმწიფომ სრულიად დაივიწყეს „მწვანე“ ენერჯეტიკა და ფსონი წიაღისეულ სათბობზე დადეს.

გერმანიის გეგმაზომიერად შეჩერებული ატომური ენერჯეტიკის ფონზე, ფაქტობრივად, ერთი რესურსი დარჩა — ბუნებრივი აირი. ეს ქვეყანა ბუნებრივი აირის მთავარი იმპორატორია მსოფლიოში და მისი დეფიციტი ქვეყნის ეკონომიკას მძლავრად დაარტყამს. სწორედ ამიტომ აამუშავეს ერთი წლის წინათ ქვანახშირის თბოელექტროსადგუ-

რი 1,1 გიგავატის სიმძლავრით, რაც ატომური რეაქტორის სიმძლავრის ტოლფასია. ელექტროენერჯის დეფიციტია ნიდერლანდებში, სადაც მინისპერის შიშით შეაჩერეს ბუნებრივი აირის მოპოვება (ქალაქ გრონინგენის რაიონში). ატომურ სადგურს სწრაფად ვერ ააშენებენ, ამიტომ მოუწევთ ბუნებრივი აირის შესყიდვა. რაც შეეხება პოლონეთს, ის ევროპის ყველაზე „ბინძური“ ქვეყანაა ეკოლოგიის თვალსაზრისით. ეს ქვეყანა ატომური ელექტროსადგურის აშენებას ცდილობს და ამის გამო ევროკავშირის ეკოლოგიური პროგრამები შეაჩერა. ამომრჩეველთა ბინებში სინათლე და სითბო გაცილებით მნიშვნელოვანია პოლონეთის ხელისუფლებისთვის, ვიდრე ევროკავშირის მიერ შეთავაზებული დეკარბონიზაციის ყველა პროგრამა ერთად აღებული.

ცივმა ზამთარმა, პანდემიამ სანარმოების იძულებითმა გაჩერებამ, შემდეგ ისევე აამუშავებამ ეკოლოგიის სანინაღმდეგოდ იმუშავა და ბაზარზე ყველაფერი თავდაყირა დააყენა — ქვეყნები ქვანახშირის მოხმარებაზე გადაიყვანა. ამ ვითარებაში კი მოულოდნელად ყველაზე იაფი რუსული ქვანახშირია, რომელიც ტონა 80 დოლარი ღირს.

ასეა, როცა სითბო და სინათლე უნდათ, „მწვანე“ ენერჯეტიკა და ეკოლოგია არავის ახსოვს.

ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოაშუადა ლუკა მაისურაძემ

საქართველო მსოფლიოში ყველაზე ხუდი განათლების სისტემის მქონე ქვეყნებს შორისაა

On the flip side, there are nations with poor educational systems. This could be due to internal conflict, economic problems, or underfunded programs. Some of the world's worst educational systems can be found in these nations.

- Burma
- Central African Republic
- Dominican Republic
- Equatorial Guinea
- Georgia
- Liberia
- Libya
- Monaco
- Pakistan
- Sri Lanka
- Zambia



მოსახლეობის აღწერის მსოფლიო ბიუროს — World Population Review-ის მონაცემებით, საქართველო ყველაზე ცუდი განათლების სისტემის მქონე ქვეყნებში მონიწვე პოზიციაზეა. საქართველოში განათლების დონე ისეთია, როგორც ცენტრალური აფრიკის რეს-

პუბლიკაში, მიანმარში, დომინიკის რესპუბლიკაში, ეკვატორულ გვინეაში, ლიბერიაში, ლიბიაში, პაკისტანში, შრი-ლანკასა და ზამბიში. სამაგიეროდ, საქართველო სრულიად დამოუკიდებელია საბჭოთა განათლების სისტემისა და რუსეთისგან. ინტერნეტში ასეთი ანეკდოტიც (უფ-

რო ნამდვილი ამბავი) კი ვრცელდება: ქართულ სკოლაში გეომეტრიის გაკვეთილზე მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს: — გოგი, დამიმტკიცე, რომ სამკუთხედი ტოლგვერდია. — დედას გეფიცებით, მასწ. **მოაშუადა ლუკა მაისურაძემ**





აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლოებით, ზორობებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურიტ, მკვლელობით, შუღლიტ, ვერაბობით, უზნეობითა და მახაზლარობით. ცილისმნამეზალნი, ღვთის მოქულენი, შაურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ზორობამზარხველნი, მშობლავის ურჩნი.

(მოციქულ პავლეს წერილი რომელთა მიმართ, 1,29-30)



«იუნისეფის» განხილვით, ბავშვებისთვის პორნოგრაფიის დაბლოკვა დაარსებს მათ უფლებას



გაეროს ბავშვთა ფონდის გამოქვეყნებულ განცხადებაში («იუნისეფი» შექმნილია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლტოლვილი ბავშვებისთვის დახმარების მიზნით) განხილულია საკითხი, თუ როგორ უნდა დაცვათ ბავშვები ინტერნეტის მეშვეობით მისაღწევი და დაუნდობელი კონტენტის ზეგავლენისაგან. დასკვნა ეფუძნება ევროკავშირის 19 ქვეყანაში ჩატარებული კვლევების შედეგებს, რომელთა მიხედვით ბავშვების უმრავლესობა, რომლებმაც იხილეს პორნოგრაფიული გამოსახულებანი, ნეიტრალურები დარჩნენ არც ბედნიერებისა ეცხობთ რამე, არც დანაღვლიანებულებს ჰგავდნენ.
ანგარიშიში, რომელსაც ეფუძნება «იუნისეფი», ფაქტობ-

რივად, ნათქვამია, რომ ესპანელი ბავშვების 39 პროცენტით პორნოგრაფიის ნახვის შემდეგ ბედნიერი იყვნენ...
«იუნისეფი» ასევე განაცხადა, რომ ბავშვებისთვის ინტერნეტის პორნოგრაფიის მისაწვდომლობის ბლოკირებამ შეიძლება შელახოს მათი უფლებები.
«იუნისეფი» ასახულებს ამ დებულებას სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის ფართო გაგებით.
კრიტიკოსები აცხადებენ, რომ «იუნისეფი» აღარ ასრულებს მასზე დაკისრებულ მისიას და მონოღება, რომ ბავშვებს გაუხსნან გზა პორნოგრაფიისკენ ადამიანის უფლებების საფარით, მხოლოდ ადასტურებს ამ კრიტიკის სამართლიანობას.



პანდემიამ პედერასტები ვერ დააბრკოლა

ლგბტ წარმომადგენლებს ისრაელის პოლიცია გაძლიერებულად იცავდა, მათ წინააღმდეგ გამოვიდა რამდენიმე ათეული კაცი, რომელთა შეცხილებს მალაღმბიანი მუსიკით ფარავდნენ.
იენისის დასაწყისში იერუსალიმში გაიმართა ლგბტ-ალღუმში, რომელშიც ათასობით პედერასტი და მათი მომხრეები მონაწილეობდნენ.
აღნიშნავენ, რომ ჩვეულებ-

რივ ლგბტ-ლონისძიებები იერუსალიმში, სადაც ცხოვრობს ულტრარაობრივი ებრაელთა თემის უმეტესობა, ნაკლებ ხმაურიანია, ვიდრე ისრაელის უფრო ლიბერალურ დედაქალაქ თელ-ავივში. წლეულს მხოლოდ რამდენიმე ათეული ადამიანი მონაწილეობდა მამათმავალთა მიერ მონაწილე ალღუმის წინააღმდეგ, მაგრამ მათი პროტესტი ხმაღმალღი მუსიკით ჩაახშეს.

ნეოლიბერალური უნეობა

ქივში ტრანსგენდერების ალღუმი ბიგბარტა

უკრაინის ლგბტ-თემმა გადანევიტა, შეესხენებინა ხელისუფლებისთვის ქვეყანაში ტრანსგენდერების არსებობა და 2021 წლის 22 მაისს მოახყო სადემონსტრაციო აქცია, — იუნეება ტელერხი.
ალღუმი მიხეილის მოედნიდან დაიღრა. მონაწილეები ლგბტ-დროშებს აფრიალებდნენ, მიჰქონდათ ტრანსპარანტები, რომლის არსი და დანიშნულება ერთადერთი იყო — აცხადებდნენ, რომ ტრანსგენდერები ფსიქიკურად დაავადებული ადამიანები არ არიან. მსვლელობის ლიდერები გაჰყვიროდნენ, რომ «ტრანსგენდერების უფლებები ადამიანების უფლებებია».
ტრანსგენდერების მასობრივ მსვლელობას პოლიციელების დიდი რაოდენობა იცავდა. ნაციონალისტური და რადიკალური ორგანიზაციების წარმომადგენლები უტყვდნენ. მოკლედ, ერთი ტიპის ორიენტაციადრეულებს სხვა ტიპის ტენდამთხვეულები უკრაინის ნეოლიბერალური კურსის ერთგულებას თავ-თავიანთი პლატფორმებიდან იცავდნენ და განამტკიცებდნენ.
პოლიციამ კი აიღო და დააკავა ორგანიზაცია «ტრადიცია და წესრიგის» ერთადერთი ეგზალტირებული წევრი, რომელიც მომიტინგეებთან შეჭრის და პირისპირ დიალოგს აპირებდა მუშტის აქტიური გამოყენებით.
პოლიციამ იგაჰყავა და ალღუმის მონაწილემდეგებს წაართვა ფაირები.
ჟურნალისტები იუნეებიან, რომ კიდევ ერთი ახალგაზრდა აპირებდა, ჯვრით ხელში მისულიყო ტრანსგენდერებთან, მაგრამ მისი აქტიურობა სურვილს არ



გასცილებია. ტელეგრამ-არხ Pavlovsky News-ის ცნობით, მას პოლიციელები გადაუდგნენ და გზა გადაუკეტეს.
მსვლელობა კიევის ფოსტის მოედანზე დამთავრდა. ტრანსგენდერების მსვლელობის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ამ ღონისძიების მიზანი უკრაინის ხელისუფალთათვის ტრანსგენდერების არსებობის შესხენება იყო.
ცნობისთვის: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ორი წლის წინათ დაამტ-

კიცა ახალი კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით ტრანსგენდერობა აღარ ითვლება ფსიქიკურ გადახრად.
მომავალი წლის დასაწყისიდან, ანუ 2022 წლის იანვრიდან ეს კლასიფიკაცია ძალაში შედის.
მანამდე გიჟი თავისუფალია.
მას შემდეგ იგი ადამიანის ყველა უფლებით აღიჭურვება, რაც პრინციპულად პირველისგან არ განსხვავდება და ნიშნავს, რომ მსოფლიო გაუდერასტდა!



ავსტრალიის სკოლაში თეთრკანიანი ქრისტიანი მამაკახები მრავალღად მოიხსენიეს



ახალგაზრდობასთან მუშაობის სპეცილისტმა ქალბატონმა აიძულა ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეები, კლასის წინაშე ფეხზე წამომდგარიყვნენ და აუხსნა, რომ ისინი ისტორიულად მრავალღები არიან, — იუნეება Herald Sun-ი.
კინგსტონის ქალაქის საბჭოს თანამშრომელმა, რომელიც მელბურნში ჩავიდა, ასე აუხსნა მოსწავლეებს, რომ თეთრკანიანი ქრისტიანი მამაკახები «პრივილეგიურ ჯგუფს» წარმოადგენენ. მოსწავლეები და მათი მშობლები შემფოთდნენ

ამ ინციდენტის გამო. სკოლის დირექტორმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ სასწავლო დაწესებულება არ იწონებს ამგვარ მიდგომებს.
ცოტა ხნით ადრე მსახიობი პენი აზარი, რომელიც ახმოვანებდა მამათმავალ პერსონაჟ ხულოს, შეცვალეს ჰომოსექსუალი მსახიობით — ტონი როდრიგესით. ამ უკანასკნელმა შოუში მუშაობა დაიწყო მარტში და სოცქსელების მეშვეობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ იგი ამ პროექტში მოღვაწეობაზე ყოველთვის ოცნებობდა.



**ყველაზე
ყველაზე...**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჯორჯ ბუში-მცხეთის

აშშ-ის 43-ე პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშს ყველაზე უბამოვნოდ პრეზიდენტად მიიჩნევენ. მის გარდატეხვით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კოვოიდის პანდემიას.



თანამედროვე პოლიტიკოსები, მით უმეტეს, მსოფლიო ლიდერები დიდ ყურადღებას უთმობენ თავიანთ იმიჯს. მკაცრი კოსტიუმები, იდეალური აქსესუარები, ვარცხნილობა — ეს ყველაფერი ძლიერთა ანუ ქვეყნის უცვლელი ატრიბუტებია, თუმცა ზოგიერთ პოლიტიკოსს, არცთუ იშვიათად, ყურადღების მიღმა რჩება თავისი გარეგნობის „უმნიშვნელო“ დეტალები. გთავაზობთ სასაცილოდ ჩაცმული პოლიტიკოსების ფოტოებს.

**პოლიტიკოსების ყველაზე
სასაცილო და უხეივანი ჩაცმულობა**



**ვიხილ
საკაპოლი**

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა და ოდესის ექსპრეზიდენტმა შარვლის ტოტები წინდებში ჩაიტანა. ასეთ ვითარებაში არაერთხელ ყოფილა ნაპრეზიდენტალი. უკრაინაში ახალი საპატრიულო პოლიციის პრეზენტაციაზე სააკაშვილს შარვალის უკუღმა ეცვია, რის გამოც გვერით მყოფნი სიცილს ძლივს იკავებდნენ.



დავიდ კეპარონი

დიდი ბრიტანეთის ექსპრემიერი იტალიაში დასასვენებლად ყოფნისას ქუჩაში წინდების გარეშე დასეირნობდა, ხოლო, როცა გააკრიტიკეს, გრძელ შორტებსა და სპორტულ ფეხსაცმელში გამოეცა.



ქიმ ჩან ინი

ჩრდილოეთ კორეის ლიდერი თავისი სამოსით გულკეთილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მხოლოდ შლაპა რად ღირს. ჩრდილოეთ კორეის ლიდერი რაღაცით ჰგავს ნიკიტა ხრუშჩოვს.



**ანგელა
მერკელი**

ფრაუ კანცლერი ყოველთვის იპყრობს პრესის ყურადღებას, როგორც კი კაბაში გამოწყობილი გამოჩნდება ხოლმე. დასანანია, რომ მერკელი ხშირად იცვამს კაბის შეუსაბამო ფეხსაცმელს. თუმცა, ვინ იცის, შეიძლება გერმანული პრაქტიკულობა დეტალებში იმალება. ან გარდაცვლილი პარლამენტის ლაგერფელდი ფრთხილად შენიშნავდა ხოლმე: მთლიანობაში ანგელა რიგვანად იმოსება, მაგრამ მას მცოდნე სტილისტი სჭირდებაო. სტილისტები კი ხშირად მიუთითებენ ფრაუ ანგელას სიყვარულზე მოკლე იპუაკებისადმი.



**დილა
რუსაფი**

ბრაზილიის ან უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა (გადააყენეს 2016 წელს იმპიჩმენტის შედეგად) ერთ-ერთ ინტერვიუში თავის თავზე განაცხადა: „მე აქ ერთადერთი ძლიერი ქალი ვარ, სუსტი მამაკაცებით გარემოცული“.



ვილარი კლინტონი

აშშ-ის ყოფილი პირველი ლედი და ასევე ყოფილი სახელმწიფო მდივანი ფოტორეპორტიორებს ხშირად „გამოუჭერიათ“ წრელაჭრულა სამოსელში. თუმცა, ბოლო პერიოდში ქალბატონი ჰილარი მიხვდა შეცდომას და თავს ყვავილებიანი სამოსით აღარ „იბერებს“, მაგრამ ყვავილებისადმი სიყვარულს ზოგჯერ თავისი გააქვს და საქმიან კოსტიუმებს შორის ყვავილებიანი სამოსიც გამოიჩინებს ხოლმე.



**იულია
ტიმოშენკო**

უკრაინის ყოფილი პრემიერი, ამჟამად პარლამენტის წევრი, თავის იუბილეზე გამოწყობილი იყო ისეთ კაბაში, რომელიც ძალიან ჰგავდა „მეხუთე ელემენტში“ მილა იოვოვიჩის სამოსს.



**ვლადიმერ
პუტინი**

რუსეთში ყველაზე ეპატაჟური პოლიტიკოსი თავს უფლებას აძლევს, ოფიციალურ ლონისძიებებზეც ეპატაჟური სამოსით მივიდეს. ვლადიმერ ვოლოფოვიჩი ხშირად ძალიან უცნაურად არის შემოსილი.



**კოლინ
პაუელი**

აშშ-ის არმიის გენერალი და ყოფილი სახელმწიფო მდივანი ერთხელ ჟურნალისტის წინაშე ისეთი უფორმო კოსტიუმით წარდგა, რომ სჯობდა, საერთოდ არ ჩაეცვა.



**პეტრა
პოროშენკო**

უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა თავისი, ასე ვთქვათ, მსუბუქი და დაჭმუჭნილი შარვლით ცოტა დაძაბა პრესის წარმომადგენლები. როგორც ჩანს, ნიდერლანდების სამეფოში გადაფრენის ხანგრძლივი დამოქანცველი იყო. პოროშენკოს ტანსაცმელთან ყოველთვის მოსდის კაზუსები, ხან ზომიერად, ხან პერანგი, შარვალის კი დაჭმუჭნილია და ტომარასავით ჰკივია. ეტყობა, პოლიტიკოსს, უბრალოდ, დრო არ ჰყოფნის ასეთ ნვრდებზე.



ჯეიკობ ზუბაროვი

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი თავის ქორწინებაში ტრადიციულ კოსტიუმში გამოწყობილი გამოცხადდა, თუმცა ამ სამოსის „სულიანკვეთება“ თანამედროვე სასპორტო ფეხსაცმელმა დაარღვია. ამ ფეხსაცმლის გარეშე ცეკვა, ალბათ, მოუხერხებელი იქნებოდა.

მოამზადა ნიკა კორინთელაძე



ნოვაკ ჯოკოვიჩი მორწმუნე აღაზიანია, მართლმადიდებელი ქრისტიანი. მან დიდი წვლილი შეიტანა ქველი ტაძრების რესტავრაციაში და დაჯილდოებულია წმინდა სავას პირველი ხარისხის ორდენით, ეწევა ქველმოქმედებას. მან 2007 წელს დააფუძნა ფონდი, რომელიც ეხმარება სერბ ბავშვებსა და ლტოლვილებს.

საფრანგეთის ღია პირველობის („როლან გაროსი“) ნახევარფინალში ესპანელი რაფაელ ნადლის განადგურების შემდეგ (შეხვედრის დასრულებისთანავე ჯოკოვიჩმა განაცხადა, რომ ეს მისი ყველაზე დიდი გამარჯვება იყო პარიზში) სერბმა ჩოგბურთელმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა საოცრად ითამაშა ფინალური მატჩი ბერძენ სტეფანოს ციციპასთან — პირველი ორი სეტის წაგების შემდეგ (6:7, 2:6) ნოვაკმა ზედიზედ სამი სეტი მოიგო (6:3, 6:2, 6:4) და მეორედ დაეუფლა საფრანგეთის ღია პირველობის თასს.

„როლან გაროსი“ გამარჯვების შემდეგ ნოვაკ ჯოკოვიჩი ე.წ. ღია ერაში (1968 წლიდან, როცა პროფესიონალებს „დიდი მუზარადის“ (დიდი სლემი) მონაწილეობის ნება დართეს ტურნირებში) პირველი მამაკაცია, რომელმაც, სულ ცოტა, 2-2-ჯერ აქვს მოიგო „დიდი მუზარადის“ ტურნირები (ასეთი 4 ტურნირია). მან 9-ჯერ გაიმარჯვა ავსტრალიის ღია პირველობაში, 5-ჯერ — უიმბლდონზე, 3-ჯერ მოიგო ამერიკის ღია პირველობა და ორჯერ „როლან გაროსი“.

ბავშვობა

ნოვაკ ჯოკოვიჩი 1987 წლის 22 მაისს დაიბადა ბელგრადში. ნოვაკი აღიარებს, რომ მისი წარმატებული სპორტული კარიერა მშობლებს (დედა — დიანა, მამა — სრჯანი) ყურადღებამ და მხარდაჭერამ განაპირობა.

ნოვაკი 4 წლის იყო, როცა პირველად აიღო ჩოგანი ხელში, 6 წლისა კი ცნობილმა სერბმა ჩოგბურთელმა **ილენა პანჩიჩმა** შეამჩნია და მშობლებს უთხრა, რომ ბიჭი ყველაზე ნიჭიერი იყო იმ ბავშვებს შორის, რომლებიც კი ოდესმე უნახავს. მომავალ ვარსკვლავს 1999 წლამდე გენჩიჩი ავარჯიშებდა. ნოვაკი მას მეორე დედას ეძახდა.

როცა ბავშვი 12 წლის გახდა, ნატოს თვითმფრინავები ბელგრადს ბომბავდნენ. დაბადების დღე ნოვაკმა თავშესაფარში აღნიშნა. ომის პერიოდში ბიჭმა 76 ღამე სარდაფში გაატარა. გენჩიჩის შემდეგ ნოვაკს ყოფილი ხორვატი ჩოგბურთელი **ნიკოლა პილიჩი** წვრთნიდა და თავის აკადემიაში — გერმანიაში. იქ ჯოკოვიჩმა 4 წელი გაატარა. პროფესიულ სპორტულ არენაზე ნოვაკ ჯოკოვიჩი 2001 წელს გამოჩნდა, 14 წლის ბიჭმა დიდ წარმატებებს მიაღწია — მოიგო ევროპის ჩემპიონატი იუნიორთა შორის. ნოვაკს ორი ძმა ჰყავს — **მარკო** და **ჯორჯი**, რომლებიც ბავშვობიდან მისდევდნენ ჩოგბურთს, მაგრამ მათ უფროსი ძმის მსგავსი წარმატებისთვის არასოდეს მიუღწევიათ.

პირადი ცხოვრება

სპორტული უნარების გარდა ნოვაკ ჯოკოვიჩი შესანიშნავი იუმორითაც არის დაჯილდოებული. მას ხშირად უჩვენებია ტრიბუნაზე მსხდომი მაყურებლებისთვის პაროდები თავის კოლეგებზე, მაგალითად, **მარინა შარაპოვას** და **რაფაელ ნადალს**. სწორედ მხიარული ხასიათის გამო შეარქვეს მას თავიანთ-მცემლებმა **ჯოკიარი**, რომელიც შეიცავს ალუზიას მის გვარსა და ინგლისურ სიტყვა joke-ზე („ხუმრობა“).

ნოვაკ ჯოკოვიჩი მორწმუნე აღაზიანია, მართლმადიდებელი ქრისტიანი. მან დიდი წვლილი შეიტანა ქველი ტაძრების რესტავრაციაში და დაჯილდოებულია წმინდა სავას

პირველი ხარისხის ორდენით, ეწევა ქველმოქმედებას. მან 2007 წელს დააფუძნა ფონდი, რომელიც ეხმარება სერბ ბავშვებსა და ლტოლვილებს.

2014 წელს სერბეთი წყალდიდობამ დააზარალა, იმ მომენტში ნოვაკი იტალიაში გამართულ ტურნირში მონაწილეობდა. ჩოგბურთელმა მოგებული საპრიზო თანხა — 750 ათასი ევროდარი — სტიქიით დაზარალებულებს გადაურიცხა.

2016 წელს ნოვაკმა გაიხსნა **ილენა როსტიჩი**, როგორც ამბობს, ცხოვრების სიყვარული. 2014 წელს წყვილი დაქორწინდა და გაუჩნდა ვაჟი — **სტეფანი**. 2017 წელს კი მეორე შვილი შეეძინათ, ამჯერად გოგონა — **ტარა**. ილენე ამჟამად ხელმძღვანელობს საქველმოქმედო ფონდ **Novak Djokovic Foundation**-ს, რომელიც ნიჭიერ ჩოგბურთელ ბავშვებს ეხმარება.

ცნობილია, რომ ნოვაკი მონაწილეობს ბიზნესპროექტებში. 2005 წელს მისმა ოჯახმა დააფუძნა კომპანია **Family Sport**-ი, რომელმაც შექმნა კაფეების ქსელი (**Novak Cafe**) სერბეთში. 2016 წელს მეუღლესთან ერთად გახსნეს ჯანმრთელი კვების რესტორანი **Eqvita Restaurant**-ი.

ჩოგბურთი

რთულია ჩამოთვლა ყველა ტიტულის, რომლებიც ამ სპორტსმენმა მოიპოვა. მან 19-ჯერ მოიგო „დიდი მუზარადის“ ტურნირები. პირველად ეს მოხდა 2008 წელს, როცა ნახევარფინალში **როჯერ ფედერერი** დაამარცხა. „ჯოკერი“ ATP-ის (პროფესიონალი ჩოგბურთელების ასოციაცია) მსოფლიო ტურის ფინალის 5-გზის გამარჯვებულია, მათგან 4 ზედიზედ მოიგო.

ექსპერტები აღნიშნავენ ნოვაკ ჯოკოვიჩის კარგ ფიზიკურ მონაცემებს (სიმაღლე — 187 სმ, წონა — 80 კმ) და თამაშის განსაკუთრებულ სტილს. ის უნივერსალური ჩოგბურთელია, რომელსაც შეუძლია ერთნაირად კარგად იასპარეზოს ნებისმიერი ტიპის კორტზე. სწრაფი და მოქნილი მოძრაობები ნოვაკს ზუსტი და ძლიერი დარტყმების შესრულების საშუალებას აძლევს. მისი ბექჰენდი (დარტყმა, როდესაც

ჩოგბურთისა და სერბეთის პარსკვლავი

როგორ იმოქმედა ნატომ ნოვაკ ჯოკოვიჩზე



მტევანი ბურთისკენ ზურგიით არის მიმართული) მსოფლიოში საუკეთესოდ არის აღიარებული.

სერბი ჩოგბურთელისთვის 2015 წელი ძალიან წარმატებული იყო — მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა, უიმბლდონის ფინალში კი როჯერ ფედერერი დაამარცხა, გამარჯვება მოიპოვა, აგრეთვე, აშშ-ის ღია ჩემპიონატში.

იმ წელს ნოვაკმა, „ფორბსის“ მონაცემებით, 94 მლნ დოლარი გამოიმუშავა. შემდეგ იყო წარმატებები და წარუმატებლობებიც, მაგრამ გამოსარჩევია 2019 წელი, როცა ნოვაკმა მეშვიდედ მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა, ხოლო მეხუთედ — უიმბლდონი. 2020 და 2021 წლებში კი კვლავ გაიმარჯვა ავსტრალიის ღია პირველობაში.

რეკორდები

ნოვაკ ჯოკოვიჩი, უკვე კარგა ხანია, არ მალავს, რომ სურს, მოხსნას ყველა რეკორდი და კარიერა ისტორიაში საუკეთესო ჩოგბურთელის ტიტულით დაასრულოს.

* ამჟამად ნოვაკს 19 „მუზარადი“ აქვს, და როჯერ ფედერერსა და რაფაელ ნადლს 1 ტიტულით ჩამორჩება. იმის წარმოდგენა, რომ ნოვაკი ვერაფერს ვეღარ მოიგებს, ძალიან ძნელია, ამიტომ, როგორც ჩანს, ამ რეკორდს გააუმჯობესებს.

* მიმდინარე წელს სერბმა გააუმჯობესა როჯერ ფედერერის რეკორდი სარეიტინგო სიაში 1-ელ ნომრად ყოფნის ხანგრძლივობის მიხედვით. ის, უკვე 324 კვირაა, პირველ ადგილზეა (ფედერერის რეკორდი 310 კვირა იყო).

* 2019 წელს ჯოკოვიჩმა მასტერსის ყველა, 9-ვე, ტიტული მოიგო და ამ მხრივ ერთადერთი ჩოგბურთელია მსოფლიოში.

* „როლან გაროსზე“ გამარჯვების შემდეგ ჯოკოვიჩს 60 დიდი ტიტული აქვს („მუზარადები“, მასტერსები), ნადლს — 57, ფედერერს — 54.

* ჯოკოვიჩი მთავარ კონკურენტთანაც წინ არის პირად შეხვედრებში. ის ფედერერს 27:23-ს უგებს, ნადლს — 30:28-ს.

საინტერესო ფაქტები

* სერბი ჩოგბურთელი ენების ცოდნით გამოირჩევა. ის თავისუფლად ლაპარაკობს სერბულ, ინგლისურ, იტალიურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე;

* ჩოგბურთთან ერთად ნოვაკს ძალიან უყვარს ფეხბურთი. ის სერბეთისა და იტალიის კლუბებს გულშემოტიკერობს;

* ჯოკოვიჩი ავტორია წიგნისა „გამარჯვების გემო“. 14 დღე გალუტინის გარეშე სხეულისა და სულის სრულყოფისათვის“;

* 2016 წელს ჯოკოვიჩმა CNN-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ წარმატებებისკენ მას უბიძგა ნატოს ავიაციის დაბომბვებმა — როცა თვითმფრინავები ბომბავდნენ დაუცველ ქვეყანას, ბიჭი ოცნებობდა, რომ ნებისმიერი ხერხით გაემარჯვა;

* კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად სერბეთის ბიუჯეტში 1 მლნ ევრო გადარიცხა რესპირატორებისა და სამედიცინო მოწყობილობების შესაძენად.

მაიაზადა ნიკა კორინთიელა



ნოვაკ ჯოკოვიჩი, როჯერ ფედერერი და რაფაელ ნადალი



ნოვაკ ჯოკოვიჩი მეუღლესთან ერთად



მოლოველი სანდროეზი პრეზიდენტიზგან პასუხს მოითხოვენ

«რატოე მიიღეს უხსო ქვეყნეზის სტრუქტურეზე სიღველო ინფორმაციეზე წვლოე?»

რესპუბლიკე მოლოდოვის გედიმდგარმა ოფიცრებმა ღია წერილით მიმართეს ქვეყნის პრეზიდენტ მაია სანდრუს, რომელიშიც გემოხატეს თევიანთი შეშფოთეზე „მწვევე სოციელოური, ეკონომიკური დე შიდაპოლიტიკური ვიეორების“ გემო. წერილის ავტორების აზრით, ასეთმა შიდაპოლიტიკურმა ვიეორებამ შეიძლებე „ქვეყნეში დესტებილიზაციე გემოინვეოს“.



წერილის ავტორებს სურთ, მიიღონ პასუხეზი რეიმდენიმე მნიშვნელოვან კითხვეზე, თენაც ეს პასუხეზი არე მოლოდ სამხედროეზეზე უნდე იცოდნენ, არამედ მოლოდოვის მოქელებების დიდემა ნანილდეც. „მასმედიეში გემოქვეყნეზული ცნობის თენახმედ, უცხო ქვეყნეზის სტრუქტურეზემა, როგორც სანდროეზი, ისე ეკრემ, მიიღეს წვლომა სიღველო ინფორმაციეზე, მათ შორის ისეთეზე, რომლებეც განსაკუთრებული მნიშვნელოზისეა. რის საფუძველზე დე რე უფლებით მიეცათ მათ ასეთ ინფორმაციეზე წვლოე? თქვენ,

ვის, აგრეთვე, გეუგებარიე, აქეს თუ არე უფლებე მეზობელი ქვეყნის მოქელებე, მოლოდოვის პრეზიდენტის პოსტი დეიკავოს.

„მიგვანია, რომ ქვეყნეში შექმნილი ვიეორეზე მოლოდოვას არე მოლოდ აყენებს გარე ქელებზე დემოქიდებულ მდგომარეობეში, არამედ ხლებს მოლოდოვის სანდროეზებს. ეს გემოინვევს ღია კონფლიქტს, რომელიც ქუჩის არეულობეში გედიზრდებე.

„ენ. დეასველური პარტნიორების მუშეობის ფორმეზისე დე მეთოდების გეთეფილისე ნინეზით, ვენდევეთ, რომ მზედდებე მადინის ტიპის მასობრივი არეულობების ნინეპრობეზი, როგორც ეს ხლებედე ვეველე ქვეყნეში, რომლებეც უცხო ქელების კონტროლს დეექვემდებარენ. მოგინოდებთ, არ დეუშვეთ მსგევესი სცენარის გენვიეორეზე წვენს ქვეყნეში!“ — ნათქემა მია სამხედროების წერილში.

Fondsk.ru-ზე გემოქვეყნეზული მასალის მიხედვეთ მოემზდედე ნიკე პორიეიქემა



ვეროკევირის იედეგეზრეზე: გეკენული ვექსინის ეფექტიანეზე გელოდ 47 პეოხენიე

The Times-ი იუნვებე, რომ კლინიკური გემოცდების ძირითედი ფეზის შედეგებეზე აჩვენე, რომ კეორონავირუსის სანიდედეგე გეკენული ვექსინის — Curevac-ის ეფექტიანეზე გელოდ 47%-ე. არედემეკეპოფილებელი შედეგების მიუხედვედე, კომპანიის წარმომადგენლებმა გენაცხადეს, რომ გენეგეძობენ პრეპარეტივს გემოცდეს სეპოლოთე ანელოზემდე. ეს კი ნიშნევეს იმე, რომ ვექსინის ეფექტიანე-

ბამ შეიძლებე მოიმატოს. ეფექტიანეზე გეკენული ვექსინე Curevac-ისე, რომელიც ევეოკევირის დიდე იმედებს ამყარებდე, გელოდ 47% შედეგინე, გენემოს გენცხადეზეთ კი კეოვიდის სანიდედეგე გე ვექსინე იმ შემთხვევეში ჩეიე ვეკენიე ვარგისედე, თუ მისი ეფექტიანეზე 50%-ზე მეტიე.

russian.rt.com-ზე გემოქვეყნეზული მასალის მიხედვეთ მოემზდედე გეორობი გენეიქემა



ფინეთეი როგორე-მევერსეზრეზი შექენეს

კარგე ხანიე, ავტომობილების მწარმეებლები ცდილობენ, შექმნენ ისეთი ტექნიკური სეშუელები, რომლებეც თევისით, მძლოლის დანმარების გარეშე იმეორევენ. ეს მათ შესანიშნევედე გემოსდიე — ბევე ავტომობილს შეუძლიე დემოქიდებულად მოძრეობე, ზოლიდენ ზოლზე გედეველე დე პარკირეზეც კი, მგერამ ელექტრონიკის მიერ მართული ავტომობილის სრულად ნდეობე ვერვერობით ნანდრევე, რადგან შეიძლებე კომბიუტერმა შეცდომე დეუშვეს დე ტრეგიკული ავერეე გემოინვეოს.

ემუქრებე? დიდე ქელები ქუჩებში დილობით მოძრეობენ მანქანეზი ვეგრისებით დე ასეველტს ასეუთევევენ. დე ეს კარგე, მგერამ შესანიშნევედე იქნეოდე, ეს მანქანეზი ავტოპილოტით რომ იმართებოდეს. სწორედ ასეთი ავტომობილი ნარუდგინე ცოტე ხნის წინათ მსოფლოის ფინურმა კომპანიე Trombia Technologies-მა. მის მიერ შექმნილი მოწყობილობე დიდე რობოტი-მტვერსეხეხეტიე ქუჩების დეასეუთევებლად.

რობოტის სიგრეე 3,5 მეტრე, სიგანე — 2,3 მეტრე, მექსიმეალური სიქეარე — საათში 10 კმ-ე.

hi-new.ru-ზე გემოქვეყნეზული მასალის მიხედვეთ მოემზდედე გეორობი გენეიქემა

საქართველო (Logo) თუ გზურთ, გეზეი „სეპარტიველო დე მსოფლიო“ მიიღოთ სანდროეზი გეუსველად დე ისარგებლოთ უფასო სეპურიერო მომსახურეზეში, შეგიძლებთ დეუკევირდეიე კომპანიის „ელევე.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

ტრეპის რეკლე ამერიკელეზ მოუნოდე, იარეღით ხელები დეხვდენ მიგენებეზ

აშშ-ის 45-ე პრეზიდენტის, დონალდ ტრემპის, რეკლე ღარე ტრემპე ამერიკელეზ მოუნოდე, „შეიარეღენ დე მოემზადონ“, — წერს The Daily Telegraph-ი. ასეთი იყო დონალდ ტრემპის ვექერიკის მეუღლის, ღარეს, რეექციე ცენტრალური ამერიკიდან აშშ-მექსიკის სანდროეზზე მიგენებების არნახულ მოხვევეზე.



ქელებეტიონი ღარე ტრემპი, რომელიც, ექსპერტთე ვარეუდეით, 2022 წელს კენქს იყრის აშშ-ის სენატში ჩრდილოეთ კეოლინის შტედიდან ზემოსენებული გენცხადებით ტელეარხ Fox News-ზე გემოვიდე. მისი სიტყვები გეისმარემდენიმე დღის წინათ გემოქვეყნეზული მონაცემების ფონზე, რომელითე მიხედვეთ მისში

აშშ-მექსიკის სანდროეზის არეკანიერი გზით გედეკევისი 180 ათასი შემთხვევე აღირეცხე, რაც ვეველეზე მალედი მანვენებელიე ბოლო ოცი წლის გენმეველობეში.

„არე კი ვიცი, რე უნდე ვეუთხრე სანდროეზი სანდროეზთან მცხოვრებ დემიანებს. ვეექრობე, ისინი უნდე შეიარეღენ დე მოემზადონ. შესეძლოე, მათ სექსის საკუთარ ხელები ალებე მოუნოთ“, — გენაცხადე ღარე ტრემპე.

russian.rt.com-ზე გემოქვეყნეზული მასალის მიხედვეთ მოემზდედე ღუკე მისეურეკემა

რე გეპვირდე ყველეზე მეტად სეპარტიველოსე დე მეზოგელ ქვეყნეზე

2021 წლის მისში საქართველოში ფეხების სეერთო დონემ რეკორდეულად მოიმატე. მისში წლიური ინფლაციის დონემ ქვეყნეში 7,7% შედეგინე. აი ძირითედი სეხეექონლე ვეგუფეზი, რომლებშიც ფეხებმა ყველეზე სწორე ტემპით მოიმატე:

- * ტრანსპორტე — 17,4%-ით;
- * ჯანდეცევე — 13,4%-ით;
- * ავეჯი დე სეოჯახო ნიეთეზი — 12%-ით;
- * სეატუმეოვები, კეფერესტორნები — 11,8%-ით.



ყველეზე მეტად გეპვირდე: * ტრანსპორტი — 28,39%-ით; * საცხოვრებელი, წეალე, ელენერგეე — 21,79%-ით; * ჯანდეცევე — 19,30%-ით; * სურსათისე დე უელკოპოლო სანმელების ვეგუფე — 17,04%-ით.

სომეხი ფეხების მატეზე 5,9% იყო. ფეხებმა ყველეზე მეტად მოიმატე: * ტრანსპორტე — 11,7%-ით; * საცხოვრებელზე, წეალე დე ელენერგეეზე — 9,3%-ით; * სურსათისე დე უელკოპოლო სანმელების ვეგუფეზე — 7,5%-ით; * ჯანდეცევეზე — მატეზე 6,2%-ით. ავერეპვირდე წლიური ინფლაციის მანვენებელმა 4,9% შედეგინე. რაც შეეხებე რუსეთს, წლიური ინფლაციის დონე იქ 6,02%-ე.

www.geworld.ge საქართველო (Logo) ესტეპრეი რენს სიბს პოლიტიკე ეკონომიკე სანდროეზე ადემიანის უფლებები ისტორიე

სარედეციო კოლეზიე გეზეი ხელმედევენლოზ თევისეფალი პრეისი პრინციევებით. ავტორეზს ეკისრებთ პასუხისმეველობე ვექტევისე დე მონეცემების სიუსტეზე. რედეციის პოზიციე შეიძლებე არ ემთხვეოდე ავტორთე მოსახრებეზს. მისამართი: თბილისი, დევიე პეკრეძის ქ. №6 ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894 საქართველო (Barcode) 9 772233 389091